

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) 1 კვმ-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის სარგებლობაში განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,
აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ბათუმში, სხვადასხვა ლოკაციაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგული აქვს სხვადასხვა დანიშნულების საქმიანობის განხორციელების მიზნით (ჯიხურები) მიწის ნაკვეთები. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია განცხადებები სხვადასხვა ადგილებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული 2593.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.21.039) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.21.21.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002811923 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4621,0 ლარს, 5% - 231,05 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002811923 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 6308.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.21.21.034) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4621,0 ლარს, 5% - 231,05 ლარი, ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 2710.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.21.038) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.21.20.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002812923 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4621,0 ლარს, 5% - 231,05 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002812923 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარტის ტერიტორიაზე არსებული 1186.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.21.20.058)) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4621,0 ლარს, 5% - 231,05 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002815123 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარტის ტერიტორიაზე არსებული 2513.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.21.01.032) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4621,0 ლარს, 5% - 231,05 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002804523 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარტის ტერიტორიაზე არსებული 9718.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.21.20.013) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4791,0 ლარს, 5% - 239,55 ლარი, ქ. ბათუმში, მეღიქიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში არსებული 2183.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ

05.23.06.017) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.23.06.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 06 მაისის №003015121 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3175 ლარს, 5% - 158,75 ლარი, ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული 1222.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.23.05.008) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.23.01.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 11 მაისის №003135621 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3169 ლარს, 5% - 158,45 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002806423 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული 470.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.22.01.082) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4791,0 ლარს, 5% - 239,559 ლარი, ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე არსებული 448.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.22.08.004) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.22.01.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002806423 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4791,0 ლარს, 5% 239,55 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს თანახმად დანართისა.

ა.ბ) პროექტის არსი: ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემისათვის გამოსაყენებლად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კობინაძე

დანართი						
№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		1 კვმ საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართობი (კვმ)	
1	ქ. ბათუმი, იაკობ გოგებაშვილის ქ. №9-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.21.039	1	-	240
2	ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.21.034	1	-	240
3	ქ. ბათუმი, იაკობ გოგებაშვილის ქ. №3-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.21.038	1	-	240
4	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარტის ტერიტორია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.20.058	1	-	240
5	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარტის ტერიტორია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.01.032	1	-	240
6	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარტის ტერიტორია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.21.20.013	1	-	240
7	ქ. ბათუმი, მელიქიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.23.06.017	1	-	200
8	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.23.05.008	1	-	200
9	ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №2-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.22.01.082	1	-	240
10	ქ. ბათუმი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	05.22.08.004	1	-	240